



# სალოგოპროდა ვეროელო

ქართული  
1921 წლის

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კპბ.

## ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს გენერალ - პოლკოვნიკ ვ. ა. პატრიკაევის

20 ივლისს ქალაქ სოხუმში, შემდეგ კი 21 ივლისს ქალაქ თბილისში რამდენიმე ათეული სამხედრო მოსამსახურე განდა მასობრივი უწყისობის ორგანიზატორი.

თბილისში — საარტილერიო სასწავლებლის კურსანტები.

ორთავე შემთხვევაში, სოხუმშიც და თბილისშიც, მოყვამიტე ვაჟბატონები წინასწარ განზრახვით შეურაცხყოფდნენ მოქალაქეთა ეროვნულ ღირსებას და პატიოსნებას.

ერთი სასწავლებლის კურსანტებს შორის დაბალია სამხედრო დისციპლინის დონე, რაც მათ საშუალებას აძლევს პროვოკაციულად გამოიწვიონ ასეთი ანტი-ჰუმანური აქტები.

ხელმძღვანელობა შიშობს — სამხედრო პროკურატურამ დაუყოვნებლივ აწარმოოს გამოძიება, გამოავლინოს და დასაჯოს სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითნებობის შემთხვევაში აღნიშნული აქტისათვის, მორალური და იურიდიული პასუხისმგებლობა დაეკისრება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს.

საქართველოს რესპუბლიკის  
წვინად გამსახურდნი.

თბილისი, 1991 წლის 28 ივლისი.

## საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახურისაგან

საპარტიზმის პრეზიდენტის პრეს-სამსახური უფლებამოსილია განაცხადოს, რომ 1991 წლის 21 ივლისს, დაახლოებით 22 საათზე ქალაქის ცენტრის სანაპიროს რაიონში გამოჩნდა საბჭოთა არმიის 60-ზე მეტი ჯარისკაცი: მათმა ქცევამ და ეკიპირებამ მიიპყრო მოქალაქეთა ყურადღება. ზოგიერთმა მათგანმა ეცვა თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტის ფორმა, ზოგიერთს კი — შედეგსაღებო ზოლებიანი პერანგი, რამდენიმე წელს ზემოთ

სრულიად შიშველი იყო. მათი შეფარდებულნი იყვნენ რკინის წველებით. მასიური არმიული ღვედები და გარბოდნენ რა სანაპიროს დასწვრივ. ბენზინით გასამართავ საღებავთან იერიში მიიტანეს ავტომანქანებზე, საიდანაც გამოათრინეს აღამიანები და ცემდნენ მათ შეძახილებით: „აი თქვენ, თავისუფალი საქართველო“, „აი თქვენ რუსებისაგან“, „საბჭოთა მეომრებმა აგრეთვე რბევა მოაწყეს ქალაქის უნივერსიტეტს და რესტორან „არაგვ-

თან“. მილიციის მოსვლისთანავე ჯარისკაცები სასწრაფოდ გაეცალნენ იქაურობას და მიიშალნენ თბილისის საარტილერიო სასწავლებლის ყაზარბში. ამ რბევის შემდეგ დახეჭვილია ათეულობით ავტომანქანა, ხოლო რვა კაცი, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვი, პოსტიტალიზებულია. თბილისის საარტილერიო სასწავლებლის ხელმძღვანელობამ უარყო ზემოთაღნიშნულ რბევაში კურსანტთა რაიმე მონაწილეობა. მაგრამ მეორე დღეს საქართველო

საგამომძიებლო ორგანოების მიერ სამხედრო პროკურატურასთან ერთად მოწყობილი ამოცნობის დროს, დაზარალებულებმა ამოცნეს ერთი კურსანტი, რომლის გვარია ჯარსნიკოვი. გამოძიება გრძელდება.

წილთა ჯარისკაცების მსგავსი გამოხდომები, გაძივლებთ დაკეთოთ შესაბამისი დასკვნები ლიტვებში ჯარისკაცთა ანალოგიური ქმედებებზე, საბჭო პოსტებზე, ლიტვა-ლათვიის საზღვარზე მომხდარი ინციდენტებზე, რაც ანტიციტებს რომ ეს ქმედებანი დაგვიგმილი და მიმართულია იქეთაგან, რომ პროვოკაციულად გამოიწვიონ დიდი და მასშტაბური შეგახებანი საბჭოთა არმიასა და მოსახლეობას შორის.

საპარტიზმის პრეზიდენტის პრეს-სამსახური.  
თბილისი, 1991 წლის 28 ივლისი.

## არტილერიისტი „არნიშვი“ და „გაღარჩენილი“ მკვლელები

ერთნაირი სცენარით მოქმედებს იმპერია „ურჩ“ რესპუბლიკებში, ყოველნაირად ცდილობს მშვიდობიანი მოსახლეობის პროვოცირებას, რათა შემდეგ „ხელთა ხინდისით“ დაამყაროს „წესრიგი“. თბილისსა და სოხუმში ჯარისკაცთა ბრბოს კოზირის გათამაშება მცირე ტაქტიკური სიანხეა მის სტრატეგიაში: თუ გაჭრა ამ კოზირმა კარტი, ხომ კარგი, თუ არა და ერთი-ორი „ურჩი“ სალდათის შეწირვაც მათთვის რაადგარია, მთავარი ხომ სრული უპირატესობის მოპოვებაა. „ტეატრული გონების დეისტავი“ (უწყართ ასეთი გამოთქმა სამხედროებზე). ახლაც თბილისსა და სოხუმში მომხდარი ფაქტებიც ამ პოლიტიკის დამადასტურებელია მხოლოდ.

ჩვენს არახანგრძლივ ქურხალისტურ პრაქტიკაში ჯერჯერობით პირველი შემთხვევაა, ძალიან რომ არ მინდა წერილის დაწერა. რამდენი, რამდენი ხანა გაზეთებში გულის გამხეთქი ინფორმაციებია... არ მოგატყუებთ, ესეც მთა რიცხვს მიეკუთვნება. იმიტომ, რომ შიშველი ფაქტის გარდა, ფაქტის მორალური მხარის გარდა — კიდევ რაღაც იმალება უკან — სასოწარკვეთა საკუთარი უუნარობის გამო. როცა სისხლზე დაგე-შლი წითელარმიელები გირტყამენ, შენ კი იმას ფიქრობ, სად დაბალო (?!).

სამუშაო რეალობაა, არა ვარ მკაცრი. ოღონდ კი ახლა სათქმელის არტყამს ვეღარ შეგძლებ.

ფაქტი  
21 ივლისს, დაახლოებით საღამოს 10 საათზე რესტორან „არაგვთან“ ბენზინის მოლოდინში მდგარ მანქანებსა და მათ მძღო-

ლებს თავს დაატყდა 50-70 კაციანი სამხედროების ჯგუფი (მათგან ზოგს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა), დაამტკიცეს მანქანები, მძღოლებს სცემდნენ სამხედრო ქაშირებითა და ხელკეტებით. მთაწმინდის რაიონის მილიციის უფროსის მოადგილეს მთავარი გივი ხარაშვილსა და გამომძიებელ ლაშა ძიძუაშვილს ადგილზე, მინებ-ჩამტკერებელი მანქანები, ნაცემი და თავგატეხილი მოქალაქეები დახვედათ, რომლებიც ქალაქის პირველ საავადმყოფოში მოთავსეს.

რასაც ქვემოთ ვიამბობთ, ძიებით მოპოვებული მასალებია, დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებია. „არაგვამდე“ საარტილერიო სასწავლებლის კურსანტებმა (ზემოხსენებულმა სამხედროებმა) 13 წლის ჯარჯი კახიანი სცემეს და ბავშვი სხეულის მძიმე დაზიანებით ქალაქის მეორე საავადმყოფოში მოათავსეს... იმ დამსხვე შეტყობინეს მომხდარის შესახებ თბილისის სამხედრო კომენდანტურისა და სამხედრო პროკურატურას, მაგრამ იქიდან არც იმ დამსხვე და დღემდეც არავინ გამოჩენილა.

## გუგარბიძის სოჭში აღარ მკვან?

22 ივნისს გაზეთმა „პრავედა“ თავის მკითხველებს აცნობა, რომ კომპარტიის სოჭის საქალაქო კომიტეტში მეორე მდივნის პოსტზე მუშაობას შეუდგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი გივი გუმბარაძე. მეორე დღეს, დილაადრიან, საქალაქო კომიტეტის თანამშრომლები დახვეულები მიუახლოვდნენ მეორე მდივნის კაბინეტს: „როგორ, იქ უკვე გუმბარაძე ზის?“ ბოლოს გახედეს, კარი შეაღეს და დახვეუმა მამინ გენახათ, როცა მეორე მდივნის საგარძელში ძველებურად ნ. ნიკეროვი დაინახეს.

## ალიაზი პოსტევა კომპარტიას

საკვ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს ყოფილი წევრმა გვიდარ ალიევმა პარტიის რიგების დატოვება გადაწყვიტა. თავის გადაწყვეტილებას იგი შემდეგი მიზეზებით ხსნის: ჯერ ერთი იმით, რომ „ხელისუფლები ყველაფერს აფეთებენ ცენტრისა და აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხელმძღვანელობით აზერბაიჯანელი ხალხის წინააღმდეგ 1990 წლის 20 იანვრის განხორციელებული სამხინელი დანაშაულის — სამხედრო აგრესიის — დასაფარავად; შემდეგ მითიანი ყარაბაღის კონფლიქტით, რომელიც „სამხინე ნაციონალისტებმა“ სკვპ ცენტრალური კომიტეტის ხელდასმით წამოიწყეს“, აზერბაიჯანის კომუნისტების მიერ (მოსკოვის ცეკას ხელმძღვანელობით) დემოკრატიის ჩახშობით, რესპუბლიკური პარლამენტის არჩევნებისა და სსრკ-ს შენარჩუნებასთან დაკავშირებული რეფერენდუმის ფალსიფიკაციით. ამე ღრმად მჯეროდა კომპარტიის იდეალებსა და აქტიურად ვმონაწილეობდი მისი გვეგების განხორციელებაში, — წერს პარტიის ყოფილი ლიდერი, — ახლა ეს რწმენა აღარ გამჩნია. გადაუტყველები ლამაზი პარტიის, კავშირის განახლებაზე ხალხის მორიგი მოტყუებაა (ინტერვიუ)“.

# პრტიპერისტი „პრნივები“ და „გადარჩენილი“ პედილები

(დასასრული)

ძიების მასალებთან ერთად გულ-დასმით აკინძავენ და გადააგზავნიან სამხედრო პროკურატურაში. სამხედრო პროკურატურა რას იზამს — ამას ბევრი ფიქრი არ ჰქონდა.

როგორც ყველა იქ მყოფი ამბობს, „შეტაკება“ 2 წუთზე მეტი არ გაგრძელდებოდა...

...მიიმეა სამხედრო ქაშის ბალ-თებიც, ჩეკებიც და ხელკეტებიც, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, იქ ხელი ვერ გამო-იღეთ, მაგრამ ერთი სურ-ვილი მაქვს სათითაოდ ჩა-მოვიართო და გვითხოვ, ამოც-ნობაზე მაინც რატომ არ მიხვე-ლით-მეთქი? (ვიცი, ნაწილად ყოფნის დამტანველობას რომ გაცემით)... იცით, რა ძნელია ჩემთვის იმის წარმოდგენა, როგორ ჩაისხით ქუ-

თვნილი ბუნების დილო, როგორ გადავიარათ ლამის კოშმარებში და როგორ მშვიდად გაემგზავრეთ სა-ხლში დასასვენებლად? არა ვარ შეცდომი. უფრო ახლა სათქმელის არ-თქმას ველარ შევძლებ...

**ფაქტის ვიდეო რომ რაღაცაა — ის:**

ცოტა ხნის მერე ამ ინციდენ-ტიდან, ვიდეოს უცდია ურიდოდ წასვლა (ეს თვითმხილველებმა მი-თხარეს) და მშვიდობით გადარ-ჩენილი მძღოლები დიდი შეწ-რთებით დასვენებულნი და-მარტვებს.

მანიპ მადლობანიძე

# ზოგი რამ სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით

გამსაზრებმა საპარტეზლოს რისკულადიის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე პაპა აბაშელია

— ბატონო ვაჟა, რა აზრისა ხართ უმაღლესი ხახქელის გაუქმების შესახებ?

— უმაღლესი სასჯელის გაუქმება დადებითი მოვლენაა ნების-იერი ცივილიზებული ქვეყნისათ-ვის. ჩვენ ვიცით, რომ რიგ კაპიტა-ლისტურსა თუ ევროპულ ქვეყნე-ში სიკვდილით დასჯა გაუქმებუ-ლია ხანგრძლივი ან მუდმივი პა-ტიმრობით. სხვენებულ ქვეყნებში ყველა კანონი ყალიბდება ქვემო-დან, იმპულსურად, საზოგადოების სურვილისა და მიხედვით. ჩვენთან კი, მოგეხსენებათ, სამკოთა სის-ტემის დროს ყველაფერი პირიქით ხდებოდა, მაგრამ ამას სასურველი შედეგი არასოდეს გამოუღო. თქვენ წარმოიდგინეთ, არც იმ ცი-ვილიზებულ ქვეყნებში მოპყრობა ასეთ პუმანურ საქონანმდებლო აქტს დადებითი შედეგი, ამჟამად ამერიკის ბევრ შტატში კვლავ აღ-აღვინეს სიკვდილით დასჯა. ყოვე-ლივე ამის მიუხედავად, თუ დღე-ვანდელი ქართველი საზოგადოება იმპულსურად ამცნობს თავისივე ნებით არჩეულ მთავრობას სიკვ-დილით დასჯის გაუქმების შესახებ, მე მას კანონზომიერად ჩავთვლი და ასეთ გადაწყვეტილებას მთე-ლი გულთა და სულით მივიხალ-მები. ამას იმასაც დავამატებდი, რომ ცივილიზებული სახელმწი-ფოსთვის სიკვდილით დასჯა და გა-ნახების ასეთი სახით გამოტანა მიმართა პიროვნებასთან ანგარიშ-სწორებად, ჩვენს სისხლის სამარ-თლის კოდექსში კი გვაქვს ბუჩქი, რომლითაც შურისძიება და შური-სამართალი, რა ფორმითაც არ უნდა ხდებოდეს იგი, ისევე და პასუხს აგებს კანონის წინაშე. სი-ციცხლე კი ისეთი ფენომენია, ყველამ უნდა დაიხსროს მის წი-ნაშე შურისძიების გრძობა და არ შეეზოს მას.

— მაგრამ უმაღლესი ხახქელის გაუქმება პოტენციურ მკვლელებს, რომლებსაც ვერაფერში აქვთ დანაშა-ულისაკენ მიადრეკილება, უფრო არ გაათამაშებს?

— რა გითხრათ, ეს საკითხი დი-დი ხანია განაღობებულია და ფაქტია, რომ ამ ნორმის მაქსიმალ-ლორად გამოყენება არ აწვევს დანაშაულის შემცირებას; მოგეხ-სენებათ, ალბათ, რაც მეტია და-წოლის ძალა, მეტია ამომგდები-საც. მაგალითად, სისხლის სამარ-თლის კოდექსში ჩვენ გვაქვს მძი-მე ფორმებში გაუპატიურებაზე სიკვდილით დასჯა. ბოროტმოქმე-დი, რომელიც ამ ქმედებას სჩა-დის იმის შიშით, რომ მას უსათუ-ოდ დახვრტენ, დაზარალებულს კლავს, ბენზინს ასხამს და წვავს... ეს იმიტომ, რომ დანაშაულის მამ-ხილებელი ფაქტები სამუდამოდ მოსპობს.

— ბატონო ვაჟა, თქვენ კერ-ძოდ საუბრებში ხშირად აღნიშ-ნავთ, რომ მართლმსაჯულება ზო-გჯერ არ არის დაზღვეული შეც-დომისაგან. ეს ფაქტორიც ხომ გა-

მოსაკვეთია სიკვდილის დაჯასთან დაკავშირებით?

— დიახ, არცეც მომხდარა ასე-თი ფაქტები და ჩვენს სინამდვი-ლეშიც, პატიმრობაში მყოფი მკვლელის გადარჩენის რალაც შა-ნსი არსებობს, სოლო შეცდომით დახვრტის შემთხვევაში კი არა-ვითარი. სხვათაშორის, ეს ფაქტო-რი ძლიერ არაგუმენებად ექნა მო-ყვანილი სხვადასხვა ქვეყნებში, როდესაც გაჩაღდა დებატები უმა-ღლესი სასჯელის გაუქმებასთან დაკავშირებით.

— თუ შეიძლება ორიოდ ნიტ-ყვა მკვლელის შესახებ.

— ყველასათვის ნათელია თუ როგორ მომრავლდნენ ჩვენში მკვლელები. შეიძლება ეს უცნაუ-რადაც უღერდეს, მაგრამ მე ოპ-ტიმისტი კი ვარ და მჯერა, რომ დადგება დრო და ასეთ ხალხს, რომლებიც ველური ფორ-მებით სჩადის კაცთა კვლას, თა-ნამედროვე მედიცინა ფსიქიურად დაავადებულად სცნობს. კაცი, რომელიც კლავს, ბენზინით წვავს, თვრამეტ ქრილობას აყენებს და ბოლოს გულში უტრიალებს და-ნას, ნაწილებად ჩეხავს და მარ-ხავს, ჩემი აზრით, ნამდვილად არანორმალურია. საუბედუროდ, მსგავსი მკვლელები ყოველთვის იხადებოდნენ და იხადებიან. ხო-ლო რაც შეეხება ჩვენს სინამდვი-ლეს, მხედველობაში სამკოთა პე-რიოდში მაქვს, თურმე ჩვენში და-ნაშაულებები იმიტომ ხდებოდა, რომ კაპიტალისტურ გარემოცვაში ვიმყოფებოდით და ეს ახდენდა ჩვენს ფსიქიკაზე ცუდ გავლენას. ეს იყო ქეშმარიტად დემაგოგიური განცხადება. სინამდვილეში კი ასე-თი ტიპის დამნაშავეები ნამდვი-ლად არსებობენ.

— ბატონო ვაჟა, ჩვენმა ქარ-თულმა მართლმსაჯულებამ ხევსი-ბერობისა და თემის სამსჯავროს ინსტიტუტებიც გამოიარა. როგორი იქნებოდა თქვენს აზრით მკვლელების ინსტიტუტის თანამედროვე ფორ-მებით ამუშავების შემთხვევაში, და საერთოდ მოუვებოდა თუ არა ამას შედეგი?

— ჩვენ ძველ ტრადიციებს იმა-ვე ფორმებით, რა თქმა უნდა, ვერ გავიმეორებთ. უფროსი შვილის გულისათვის თუ მშობლებს დას-ჯით, მაშინ ბოლშევიკებს დავემს-გავსებთ. მაგრამ თუ თავად საზო-გადოება შექმნის მკვლელის მი-მართ აუტანელ ატმოსფეროს, კი არ უნდა მოიკვეთოს ფიზიკურად, არამედ სულიერად და იქვე უნდა გარიყოს, სიღაც ის იტხოვრებს. ეს გამართლებულად მიმაჩნია... ისე, მე თუ მითხვავთ, სულმნათი კაითვის „გამზრდილი“ ნებისმიერი ქართველი მშობლის ხეობრივი კრედი უნდა იყოს.

— რას ფიქრობთ ამ წუთებში, როცა სამსჯავრო განაჩენი გამო-ვაქვთ?

— თუ ამ საკითხს ქრისტიანუ-ლი მორალთ შევხედავთ, ძალზე რთულია, იცით, სანამ განაჩენს გამოიტანდეთ, იმის ილუზია მაინც გავს, რომ ქეშმარიტების დღდე-ნას ემსახურები, ეძიებ და ამტკი-ცებ, მაგრამ როცა განაჩენის წა-



რმოსათქმელად დგები ფეხზე, გრ-თხამად ცარიელდება, ხვდება, რომ თასაც შენ ახლა ჩიოდნე, ეს შენი კი არა, თავად ლმობის პირგოვა-ტივია; სხვისი განსჯა იმდენად ძნელია და მძიმე, ამის თქმა და ახსნა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ისევე და ისევე საზოგადოე-ბის ინტერესებისათვის დათმობაზე მიდინარ.

— ბატონო ვაჟა, ცნობილია, რომ პავლე მოციქული ქრისტიან-ებს ხდებოდა და კლავდა კიდევ, შემდეგ ღვთის შეწყვეთა და ღვა-წლით გონება გაეხსნა და უპირ-ველები ქრისტიანი გახდა. მკვლე-ლი, რომელიც გულწრფელად შო-ინინებს საკუთარ ცოდვას, შეწყ-ალებს ღირსად მიგაჩინათ თუ არა?

— რახან პავლე შეიწყალეს, სხვებმა რა დაამჯეს, განა ჩვენ ქრისტიანები არ ვართ?

— რას იტყვით დღევანდელ დანაშაულებებზე და მათს აღმკვეთ ღონისძიებებზე?

— დანაშაულთან ბრძოლის ყვე-ლაზე კარგი მეთოდი, რომელსაც გარკვეული ეფექტით ახლავს, არის მისი დროული გამოვლინება და დასჯადობა. მთავარი ის კი არ არის, რამდენი წლის სანქციას გა-ვეცემთ, მთავარია დანაშაულთან კეთილსინდისიერი ბრძოლა. კანო-ნის კეთილსინდისიერებით გამოყე-ნებასთან ერთად, დიდი როლი უნ-და ითამაშოს საზოგადოებამ. სა-ჭიროა მაქსიმალური პასუხისმგე-ბლობის გამაფრება როგორც სა-მართლებრივი ორგანოების, ასევე საზოგადოების მხრიდანაც. აქ გრ-თი ფაქტორიცაა და ჩემი აზრით ფრიად მნიშვნელოვანია. ჩვენ ყვე-ლა მოქალაქეს ვერ მოვთხოვთ გმირობა ჩიოდნის, იქნებ არ მყო-ფნის მას ამისათვის გამბედაობა. მაგრამ ბირმა, რომელიც სამართა-ლდამცავ ორგანოში გამოაცხადებს სამსახურის სურვილს, მაქსიმალუ-რად უნდა დაიცვას კანონი. მი-ლიციამი შესვლა თუ ასე პრესტი-ჯულია, იქიდან გამოიქვება ან სისხლის სამართლის პასუხისმგე-ბლობა სიცოცხლის ტოლფასად უნდა უჯდებოდეს თითოეულ მუ-შაკს.

ერთი არასახარბიელო გადმონა-შისი მემკვიდრეებია ვართ: ქრთამისა და კორუფციის. კომუნის-ტური მმართველობის სტრუქტუ-რაში ასეთი სოციალური დაავადე-ბის მეთოდი განგებ იყო დაპრო-გრამებული. ცოდვილი აღმამანი ნაწილი იყო უზარმაზარი ბორო-ტების მანქანისა, რასაც კომუნის-ტური პარტია ერქვა. ყოველივე ამის უტბად მოშლა არც ისე ად-ვილია. მაგრამ ეტაბობრივად რომ უნდა განხორციელდეს უკეთესო-ბისაკენ სწრაფვა, ეს ფაქტია. ერთი სიტყვით, პროფესიონა-ლიზმი უნდა დაინერგოს. ჩვენი აზრით სასამართლო რელიგიის დონეზე უნდა ავამოლოთ. ჩვენ თუ ამას მივალწევთ, მაშინ პო-ლიციის შეცდომებისაგან დაზღვე-ული ვიქნებით.

მერაბ შათირიშვილი, პატიმართა უფლებების დაცვის კომისიის წევრი

## დემოგრაფია

# გიღვ პრთხელ მოსახლეობის აღწერის შესახებ

ორ წელიწადზე მეტია, რაც მო-სახლეობის აღწერა მოხდა. მრავალი საინტერესო მანკენებელი გახდა ჩვენთვის ცნობილი, მრავა-ლი ტაბულადებული მასალაც წა-რმოჩინდა...

მოსახლეობის 1989 წლის აღწე-რის მიხედვით საქართველოს რეს-პუბლიკაში 5.400.841 კაცი ცხო-ვრობს, მათ შორის ქართველი — 3.787.393. საქართველოს ფარგ-ლებს გარეთ (სსრკ ტერიტორიაზე) 194 ათასი ქართველი ცხოვრობს, აქედან ყველაზე მეტი — 130,7 ათასი რსფსრ-შია.

საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველები 99,7% მშობლიურ ენად თვლის ქართულს, აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველ-თა — 87,5%, სომხეთში — 74,6%, რსფსრ-ში 70,5%, ყაზახეთში — 69,9% და ა. შ. მსგავსი ინფორმა-ცია აღრეც გამოქვეყნდა რესპუბ-ლიკის პრესაში. აღნიშნულის შე-სახებ ინფორმირებულია საქართ-ველოს მოსახლეობა, მაგრამ ცხა-ლია, პრესის ფურცლებიდან არ შეიძლება მოსახლეობის აღწერის ყველა საინტერესო მასალას გაეც-ნოს მკითხველი. არადა, „შეუძლე-ბელია, ყველამ იცოდეს, რომ აღ-წერის მიხედვით კიდევ ერთხელ გამოვლინდა რესპუბლიკის მოსა-ხლეობის მრავალი მტკივნეული საკითხი, მის სოფლებში არსებუ-ლი არასასურველი დემოგრაფიუ-ლი ვითარება.

არ შეიძლება მშვიდად გავცნო ინფორმაციას, რომლის მიხედვი-თაც 7 უბლიკის 4478 სოფლი-დან 2 ახლებელია — 164. დასახლებული სოფლებიდან ქარ-თველი ეროვნების მოსახლეობა ქარბობს 3001 სოფელში, ხოლო — 1477 სოფელში კი არაქართვე-ლები, მათ შორის: აფხაზი — 140, ოსი — 470, რუსი — 21, სომე-ხი — 204, აზერბაიჯანელი — 165,


ბერძენი — 21 სოფელში. გარდა ამისა, არის რაიონები, რომლებშიც არცერთ სოფელში არ ქარბობს ქართველი მოსახლეობა. კერძოდ, ნინოწმინდის რაიონში სულ 32 სოფელია, რომელთაგან 26-ში ქა-რბობს სომეხი მოსახლეობა, ხო-ლო 6-ში რუსი ეროვნების. უფ-რო მეტიც, რაიონის 37895 მცხოვ-რებიდან მხოლოდ 454 (1,2%) არ-ის ქართველი, თვით ქალაქ ნინო-წმინდაში სულ 109 ქართველი ცხოვრობს...

კიდევ ერთი მაგალითი, ახალ-ქალაქის რაიონის 63 სოფლიდან მხოლოდ 5-ში ქარბობს ქართველი ეროვნების მოსახლეობა, 56 სო-ფელში კი — სომეხი ეროვნე-ბისა. რაიონის 69 108 მცხოვრე-ბიდან მხოლოდ 3005 (4,3%) კა-ცია ქართველი, 63092 (91,31%) — სომეხია.

მრავალი ასეთი მაგალითის მო-ტანა შეგვეძლოს, მაგრამ საგაზეთო წერილის ჩარჩოები ამის საშუა-ლებს არ იძლევა. ხოლო დინ-ტერესებულ მკითხველს თუ ორ-განიზაციას ეურჩევთ საქართველო-ს მოსახლეობის ამ და მრავალი სხვა საინტერესო ინფორმაციის გასაცნობად მიმართოს საქართვე-ლოს რესპუბლიკის უზენაეს საბ-ჭოლთან არსებულ სოციალურ-ეკო-ნომიკური ინფორმაციის კომიტეტს (ყოფილ სტატსახკომს) — თბილი-სი, კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი, 4; ტელეფონი 36-20-45; 36-05-40; 36-59-90. აქ მალე გა-იყიდება ორი კრებული: 1. საქა-რთველოს მოსახლეობის ეროვნუ-ლი შემადგენლობა; 2. საქართვე-ლოს დასახლებული პუნქტები და მოსახლეობა; საჯულისხმობა, რომ ამ კრებულებში უკანასკნელი 30 წლის მონაცემებია ასახული.

ციციანო ვეპანიშვილი

## ეს ჩვენი ისტორიაა



# კისისხევის სიხე-წიხევილი

კისისხევი ისტორიული სოფელი გახლავთ თელავის რაიონში. კისისხევის შესახებ ერთ-ერთი ცნობა შემონახულია თაბარის მეი-სტორიის პასილი ენოხმოძღვარის მიერ. სოფელი ესაზღვრება წი-ჩანდალს, რომლის შემოგარენშიც მრავალი ხუროთმოძღვრული ძეგლია გაბნეული. ერთ-ერთი თელავში მიმავალი გზატკეცილის მა-რტყენა შხარეს ღვას. ესაა მე-17-18 საუკუნის კისისხევის ორსა-რთულიანი ციხე-წიხევილი.

თამაზ ჰივაგა ავტორის ფოტო.



# პინ პინ პრის

## ანუ პინ რა ამოქრავებს

გეებს. აბა, ისეთ აკადემიას, რომელიც ვერც თავის პრეზიდენტს დაიცავს და ვერც თავის არსებობის საპირობებს დაამტკიცებს, პინდეს კი უნდა რაიმეზე პრეტენზია?

არავითარ რაინდობაზე და უშიშარ მებრძოლობაზე არა ვდებთ თავს, თქვენს მიერ არმოწოდებულ ღია წერილის გამოქვეყნება ამ რამდენიმე წლის წინ იყო მართლა რაინდობა, თორემ ახლა, მადლობა ღმერთს, სხვა დროს ყველა კემპარტი აგრაროკოსი მეცნიერი ჩვენსავით რომ არ ფიქრობდეს, მაშინ თქვენ და თქვენს პრეზიდენტს აკადემიის დამფუძნებელი კრების ჩატარება მაღაღდად, დახურული კარის მიღმა არ დაგვირდებოდათ, თანაც რა დროს, დროისა და სიტუაციის შეგონება მართლა არ გიღალატათ.

სად ამოკითხეთ, ბატონო პროფესორებო, რომ ჩვენ ქვეყნად ყველა ბიოლოგების სათავედ აკადემიებს მივიჩნევდეთ, ნუთუ ვერ ანახვავებთ, თუ არ გინდათ დინახოთ, რა განსხვავებაა ცივილიზებული ქვეყნებისა და საბჭოური

ტების აკადემიებს შორის. მართლაც ჩვენი წერილიდან შეიტყვეთ, რომ ქვეყნის ეკონომიკის მომსახურება და დაინერგება თქვენი აკადემიის მსგავს ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ სტრუქტურებს უდევთ ლომის წილი? იქნებ ბოლოდროინდელი რუსული პრესისთვის გადაგვევლით თვალი, ანდა ჩვენს რესპუბლიკაში მმართველი პოლიტიკური ბლოკის „მრგვალი მაგიდის“ ა/წ ივლისის გაზეთს „თავისუფალ საქართველოს“ ვაცნობოდით.

განა ათეული წლების განმავლობაში ისეთი აკადემიები, რომლის სულსინამდვილეც და ორგანიზატორები თქვენც ბრძანდებით, არ იყო ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემის ნების მატარებელი და მისი შემადგენელი ნაწილი? მაგალითების ჩამოსათვლელად შორს წასვლა არ დაგვიჭირდება, თქვენს წინამორბედი „ვანსნილი“-ს რეგიონალური განყოფილება-ამის კლასიკური მაგალითია. ვითომ აზრის გამოცვლამ უშველა საქმეს? შინაარსი და მუშაობის სტილი? ანდა რატომ ი-

გეებთ მეცნიერებს და აკადემიებს, ვითომ კემპარტი მკვლევარისათვის აკადემიის მანტია აუცილებელი? ცივილიზებულ ქვეყნებში აკადემიების წევრებს საწევროები შეაქვთ, სინტირესოა ჩვენთან რომ ეს პრინციპი იყოს, რამდენი წევრი შემორჩებოდა იმ აკადემიას, რომელსაც ასე ხმალოლებულები იყავთ.

რამდენჯერ შეიძლება ხრუშჩოვის ოდიოზურ პიროვნებაზე იმის დაბრალება, თითქმის ჩვენი დაქცივის მოზეზია მის მიერ სოფლის მეურნეობის აკადემიის გაუქმება. არა, ბატონებო, თქვენ გაწყობთ ასე და იმიტომ ამბობთ, თორემ ხრუშჩოვის მიერ შექმნილი აკადემია მისთვის ბრძანებით იმეტირებოდა, რომ მაშინდელი რეჟიმის პირობებშიც შეიძლება, უფუნქციო რგოლი აღმოჩნდა სოფლის მეურნეობის საინისტროსა და მასში შემავალ კვლევით დაწესებულებებს შორის, და თუ იმ დროში მართლა რაიმე ღირებული შეიქმნა, ისინი სამეცნიერო დაწესებულებების ლაბორატორიებში, საკონსტრუქტორო ბიუროებში და საცდელ პოლიგონებზე იმე და არა აკადემიების კედლებში.

ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი მეცნიერებაში რაიმე მაკოორდინირებელი, ხელმძღვანელი ორგანოსი, მაგრამ ასეთები ძალიან მრავალადა. დღეს სოფლის, ტყის მეურნეობებისა და კვების მრეწვე-

ლობის საინისტროს უნდა იხრუნოს საკუთარი მეცნიერების განვითარებაზე და კოორდინაციაზეც, თუ ეს საჭიროა. ძველ საქართველოში შეიძლება მართლა იყო (ან არ იყო) სოფლის მეურნეობის მეცნიერების რაიმე მაკოორდინირებელი სტრუქტურა, ამის დამტკიცება დღეს არავის შეუძლია, მაგრამ იმის დამტკიცება ყველას ძალგვის, რომ, თუ ასეთი სტრუქტურა მართლა არსებობდა, ის არ ჰგავდა დღევანდელ ე. წ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, თორემ დღეს ჩვენთან არც სოფლის მეურნეობა გავიწყობოდა და არც მეცნიერება.

ბატონო ოთარ! ბატონო გურამ! და ბატონო ოთარ! ყველაზე მეტი სიტყვეთ თქვენს სტატიის ბოლო სტროფა: თითქმის „აგრაროკოსთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ თავიანთი ნება უკვე გამოხატა აკადემიის აღდგენით“. საზოგადოებისათვის ხომ ცნობილია, რომ არა თუ აბსოლუტური უმრავლესობისათვის, არამედ უმცირესობისათვისაც აზრი ახარის უკითხავს. პატივცემულო პროფესორებო, ახლა ჩვენ გეკითხებით, სიტყვე უხეობაა თუ უპრინციპობა? იქნებ ორივე ერთად.

**რამაზ ხუნფარიანი**  
საქართველოს მწვანეთა მოძრაობის თანათამაჯდომარე  
**ზურაბ ლოლაძე**  
საქართველოს მწვანეთა მოძრაობის აგროეკოლოგური კომისიის თავმჯდომარე

# აღუფთქებული და გორხევი „აპაღმეიოსების“ საგაზეთო გაოსკლის გაპო

ამა წლის 4 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის თანათამაჯდომარის პროფესორ რევაზ ხუნფარიასა და საქართველოს მწვანეთა აგროეკოლოგური კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ლოლაძის „ღია წერილი“ ბატონ ირაკლი ჩხეიძისადმი, რომელიც ეხებოდა ე. წ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჩვენ ველით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწისსარგებლობისა და აგროლოგიის მუდმივმოქმედი კომისიის პასუხს „ღია წერილში“ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით. ისევე, როგორც სხვა ოფიციალური ორგანოების გამოხმაურებას და ჩვენს საბოლოო კომენტარს მხო-

ლოდ ამის შემდეგ გამოვაქვეყნებთ.

ამჯერად გვინდა რეპლიკის სახით შევხვდეთ პროფესორების — გურამ ალექსიძის, ოთარ ზარდალიშვილისა და ოთარ ონიანის 11 ივლისის პუბლიკაციას „ერთი ღია წერილის გამო“, რომლის ავტორებიც რატომღაც დაკმაყოფილდნენ მხოლოდ პროფესორის ტიტულის მითითებით და „მორცხვად“ დამალეს თავიანთი წევრობა ყბადღებულ „აკადემიაში“. ჩვენმა პატივცემულმა ოპონენტებმა გვერდი აუარეს „ღია წერილში“ დასმულ ყველა კონკრეტულ საკითხს, არანაირი განმარტება არ მიუციათ იმ მრავალი ფაქტის გამო, რაც რ. ხუნფარიასა და ზ. ლოლაძის წერილში იყო მოცემული საქარ-

თველოში წლების მანძილზე აგრარული მეცნიერების პროგრესული მიმართულებების მეთოდურ განადგურებასთან, პროფესორ ვალერიან მეტრეველის მოღვაწეობასთან დაკავშირებით. წერილიდან ასე მივხვდით, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აღდგენის მთავარი „არგუმენტი“ ის ყოფილა, რომ თავის დროზე იგი ნიკიტა ხრუშჩოვს დაუხურავს. მნიშვნელოვანი საბუთია, ვერაფერი იტყვი...

მაგრამ ავტორები ამას არ დასჯერდნენ, „აქტიური თავდაცვის“ ტაქტიკა აირჩიეს და „ღია წერილის“ დამწერთ „უკიდურესი უხეობა“ დასწამეს. კონკრეტულად რაში გამოიხატება რ. ხუნფარიასა და ზ. ლოლაძის „უკიდურესი უხეობა“? პატივცემულ პროფესორთა წერილიდან მაინც ვერ შევიტყვეთ, ნუთუ მხოლოდ იმას, რომ „უკიდურესად გაკადნიერდნენ“ და საგულდაგულოდ შენიღბულ-ჩაწყობილი „აკადემიის“ საკითხი ბნელი კულუარებიდან საზოგადოებრივ სამსჯელოზე გამოიტანეს და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს დღევანდელი სიდუხჭირის პირო-

ბებში საქართველოს ესოდენ მწიერი ბიუჯეტიდან ახალგაზრდა მკვლევარ-აკადემიკოსებისათვის“ სააკადემიკოსო ხელფასების გამოყოფის მიზანშეწონილობა? ნუთუ ჩვენს პატივცემულ ოპონენტებს სერიოზულად სჭერათ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის ასახვენალად ხალხს ბრტყელ-ბრტყელ ლოზუნგს — „სისტემა იყო მაშინ კული“ — დასჯერდებოდა და დღესაც ტაშს დაუკრავდა იმათ, ვინც ამ სისტემის დანაშაულებრივ გეგმებს მკლავებდაკაპიწებული ცხოვრებაში ატარებდა.

გულახდილები თუ ვიქნებით, საინისტროს, ბატონო პროფესორებო, თქვენთან არსებითად არაფერი გვაქვს. თქვენ აკადემიკოსობა ვენებავთ (გასაგები სურვილია, რატომაც არა?), ჩვენ კი აღარ გვსურს, ისევე თქვენ მართაგდეთ ისედაც დაქვემდებარებული საქართველოს სოფლის მეურნეობას, აღარ გვინდა ახალი ადმინისტრაციულ-მმართველური სტრუქტურების შექმნა. მით უფრო, იმდგავარი სტრუქტურებისა, რაც გუშინდელი აგრომრეწვის ხე-

**საპარტეზალის მწვანეთა პრეს-სამსახური**

**ასოციაცია „გაგაგებს“** — სუფთა პლანეტა და სრულიად საქართველოს ღვთისმშობელთა კავშირი მოგმართავთ ყველას, ვისაც შეგიძლიათ თუნდაც მცირე ფინანსური წვლილი მაინც გაიღოთ ცხრა წლის **თამარ ომაიას** გამოჯანმრთელებისათვის.

პატარა თამარი დაავადებულია ერთ-ერთი უმძიმესი სნეულებით — ბავშვთა ცერებრალური დამბლით და საპრობებს საზღვარგარეთ მკურნალობას.

გთხოვთ, შემოწირული თანხა (ვალუტით ან მანეთებით) ჩარიცხოთ შემდეგ ანგარიშზე: ა/ა 904 400 41.

საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ბანკი, კოდი 805 227.

წინასწარ გმადლობთ თანადგომისათვის!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!

კულიან საქართველოს ღვთისმშობელთა კავშირი, რომელიც შევიდა 12 წლის გოგონას **რამა ზარაძის** რომელსაც ქვე ხერხემლის მოტერბობა, ვსაქართველთა საზღვარ-

**10 ივლისის** „ახალგაზრდა იუვერული“ გამოქვეყნებულმა წერილმა — „დავებაროთ წინადასს“ — გამოიწვია ჩემი ეს გამოხმაურება; ლაპარაკია დეკორატიულ პარკზე.

ჩვენ ხომ ნამდვილად არ ვართ განვივრებულნი ასეთი ბაღებით. შეიძლება ითქვას, არც გვაქვს ამის კულტურა (სხვა ქვეყნებთან შედარებით). სწორედ ამიტომ მოიწვია ა. კუპევაძემ საზღვარგარეთიდან დეკორატორები, საქართველოს ფლორისთვის უცხო ჯიშებიც იქიდან გამოიწვია, გააშენა მშენებნიერი პარკი და დაგვიტოვა ეს ფუფუნება. მაგრამ რა გამოდის, დღითიდღე შავრუნის ტყავით იღვავა ბუნების ეს სილამაზე.

საქმი ის არის, რომ ალექსანდრე კუპევაძის მამულს ჩრდილოეთის მხრიდან ჩაუღის დიდი ხეები, რომელიც თანდათანობით ავიწროვებს და „სუამს“ პარკს; ყოველწლიურად აკლდება და აკლდება მიწა ვითომც შეუმჩნეველად, მაგრამ ვისაც ძველი საზღვარი ახსოვს, ვეღარ იცნობს ამ ნაპირს. ასე რომ გავრძელებს, სამომავლოდ ბევრი აღარაფერი დარჩება მისგან; წაიღებს ხეები, მიუმატებს თავის პირდღერეილ კლაპოტს, რომელიც, რაც დრო გადის, უფრო და უფრო განივრდება... მე პირადად, როცა იქით გა-

**გამოხმაურება**

**პრობლემა**

**კუპევაძის შესახებ**

ვივლი ბოლომდე ყოველთვის შიშით შევცქერი ამ ხეებს...

ჩვენი მდგომარეობის მიუხედავად, ალბათ, უნდა დაისვას საკითხი ზევის მხრიდან დამცავი ჯებრის აშენების თაობაზე. რა დროს ეგ არის, ხალხი ცის ქვეშ გვაყავს. გვეტყვიან, მაგრამ ახლავენ, ზამთრამდე ავაშვით-მეთქი არ ვამბობ. ჩინურ კედელზე ხომ არ არის ლაპარაკი, ჩვენი გაჭირვებული წინაპრებიც ხომ აშენებდნენ ციხე-ვაღავენებს, ხომ გვაქვს სილნალის კედელი... იქ კი უბრალო ბეტონის ბლოკების ზღუდლი იყარებდა პარკის გასწვრივ მხოლოდ! ეს დათვარაგდა იმ გაშიშვლებულ მიწის კედელს ეროზიისაგან.

და კიდევ. ამ საში-ოთხი წლის

წინ მოვიხსნულე პარკი და რას ვხედავ. შიგ შუა-დაბურულ ბაღში გაუჩხვავს, მართლაც უნიკალური, ასწლოვანი ჯიშები და კაპიტალური ვილები წამოუჭმავს მავანს და მავანს! ელდა მეცა. აე-ბობოქრდი, მაგრამ მაშინვე პირზე ხელი დამაფარეს: გაჩუმი, ცეკას მდივები რომ გამოივლიან ბოლომდე ამ მხარეში, აქ ისევე იქნენ, ხან დამესაც ათევენო...

ზარაქალა ჩვენი მართლაც რომ გამოუსწორებელი ბედოვლათები ვართ. ვითომ ამ დროის სნეულობის სახლები მაინც და მაინც ამ, გრთადერთ სამოთხეში უნდა ჩავვედდეთ და სხვაგან, თუნდაც რომელიმე ტყის პირას ვერ აშენებოდა, და ის „პატივცემული“ გვაგებდა იქ ვერ მოსვენებდნენ. საცდელად ის არის, რომ ამ ამბავმა არავინ არ შეაწყუბა, არც იქაური და არც ჩასული. ნეტავ რა თვალთა და გულით უცქერდა იმდროინდელი დირექტორი ან პერსონალი იმ ულამაზესი, გიგანტური ხეების ჩვენს. თითქმის სხვაც ბევრი გვეწონოდა ამისთანა რამე; ან ჩვენ — უჩნარებს ახლა შეგვეძლოს მსგავსი პარკის გაშენება. მაგრამ, რაკილა ერთი და ერთი, სული ვაგვიუდაბურდა, ბუნების გაუდაბურებასაც იმიტომ მივყავით ხელი.

**ნიკო ახალკაცი**



**აპელატი**, დანიის პრინცი, საბრალო მოწვევით წუთისფლის უკუღმართობის, ძალიან ქველური კომედიანტად, გერტრუდა, დედოფალი დანიისა, თავის ვნებათა ტყვეობაში რომ იხავერება და იფელოა, გათვლილი ყვეფილი ნაწი, ფორტინასა, მკაცრი, უზილავი, მაგრამ ზვიადი და საშიში, მეფე კლავდიუს — ბოროტების მზადი მსახური, გაბედული, მზურვალე ლაერტი და პოლონიუს — კარისკაცი, ამით და სხვებსაც სხვებზე ცუდებს ანდა მიმზიდველთ იხილავთ ერთად, მოიწონებთ ანდა გაკვილავთ, თქვენი ნებაა, თქვენ გმსახურებენ მსახიობნი და თვალთმაქცობენ გულისა თქვენი მომადგებად, თანაც დაფარულს ხდიან წმირად თქვენივეს ამჯერად და ივალს ვინელებს, რომ ვაუფოთ საწუთროს რამე, აქ ვერ იხილავთ გოლიათებს და მებრძოლ სულუმბს, სულთმობრძივები უფრო წმირად მოგვევლინებთ, რადგან ცხოვრობენ, ბინადრობენ გაბურწებულ სულთმობრძივ დროში. სულ არ სჭირდება მმრბანებლობას დიდი დირსება, მხოლოდ შედეგი თვისებები ქმარა საყვებით: გაბედულება სიმზდალისა, სიცრუე სიმძინის, ფარისევლობა და უზომო ამპარტანება, პირსუბრობა, უზომობა, უმოწყალება, თუ მეფის კლი ხარ ამ ბედნიერ თვისებებშია, თაფი ქულში გაქვს, დედოფალი ფორტუნას ომიბის, დრო გაგამეფებს, თავად შენ თუ არ გაბედვდები...



# ჰაპელატი

## ახალი პარადიული ღირებულებები და ნარმაპული აპარება

სე იფეყო უნებურად სპექტაკლის მიერ მოგვრილი ფიქტი, სპექტაკლისა, რომლის გარშემო მრავალი წინააღმდეგობრივი და განსხვავებული აზრი გამოითქმის („ჰაპელატი“ დაიდა რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე, რეჟისორი გიზო ქორიანი).

აყარავებული სამყარო ადამიანურ გრძობებს \* თელავს, იმეფა ირყევა უფლისწულის ფეხებზე, არ ღარა კაცი, სულიერი, ვისაც ენდობა, ვის ადამიანურ დირსებასა და პატრონებასაც ირწმუნებს. ნინიბის ჰაპელტისათვის იმსხვრევა მისი წარმოდგენების ქვეყანა, ყოველივე ადგებს ინაცვლებს, ადამიანთა ხნებობა და საუკუნეობით შემუშავებული თანაცხოვრების ნორმები ირღვევა, ძმა მის იმეტებს, მეუღლე მეუღლეს, მეგობარი მეგობარს, ის ველყოფს ცნობს თავის სამყაროს, ბრძენთა სწავლებით ნასაზრდობე ხატს საწუთროსისა, ყოველივე მრუდე სარკეში ირეკლება. შეიღანა რწმენა ადამიანური დირსებისა, ყველაფერმა დაკარგა აზრი.

შურისძიების აქტი შელახული დირსების დაცვის ემსახურება, გათვლილი ზნეობის დაცვას, მაგრამ ქვეყანაში, სადაც ზნეობა და დირსება არავისა აქვს, შურისძიებაც დაცლილია შინაარსისგან. სწორედ ამიტომ მერყეობს ჰაპელტი, ის საყრდენს ეძებს, მაგრამ მოსაპიდი ეცლება ხელიდან, არაფერია მტკიცე და საწმენდი. რა ფასი აქვს კაცის სიცოცხლეს, თუ კაცი კაცად ღირს ვარგა, სწორედ ამიტომ არ განიცდის სათანადოდ პოლონიუსის (გოჩა კაპანაძე) მოკვდინებას დანიის პრინცი, ფასი არა აქვს არც მკვლელობას, ეს მოქმედება დიდებულ შემზარავი მნიშვნელობისგან, ხალხი არ არის, არადილეები ავებს დანიას, არდილის მოკვლას კი მკვლელობას ვერც დაუძახებ.

ყოველ ახალ ლალატს განსაყუთრებული სიმეფავითა და ტყვიანით განიცდის ჰაპელტი, იფელოა ამაც (ნინო თარხან-მოურავი, ნანა ხუსკივაძე) კი ვერ დამოლა ის წმინდა გრძობა, ამ ორ არსებას რომ აკავშირებს, სასახლის კორიდ აქცია და პარტიკული ხალხის სამსჯავროზე გამოიტანა. „რას კითხულობთ, ხელმწიფის შეილო“, — შეეკითხება უფლისწულს ქალი. ჰაპელტს კი ოფენდისადაც სთავისი წერილის ნაგლეჯები უპირთავს ხელით. „...სიტყვებს, სიტყვებს, სიტყვებს“, — მიუგებს იგი, ამას მოჰყვება ოფენდიასა და ჰაპელტის ცნობილი დილოგი, რომლის აქცენტები ასეთი კონკრეტული შესავლის მერე სრულიად ლოგიკურ და მიწიერ ელერადობას იძებს, ის საუბარი ორი ახალგაზრდა შეყვარებულის უთანხმოებასაც ემსგავსება, მათი ურთიერთობები ვერაგობამ გაზზარა, ჰაპელტს კიდევ ერთი მწიერი დარტყმა მიაყენეს. აქედან გამომდინარე, წარმოიშება ოფენდიას უნებლიე დანაშაული, რომ

მელიც განაპირობებს მისი სულიერი მდგომარეობის შემდგომი განვითარების გეზს.

